სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება № 01-05-04/55

ქ. თბილისი 5 მარტი 2019 ( )

სტუ-ის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის, პროფ. ივ. ჯაგოდნიშვილის მოხსენებითი ბარათი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების “მე-8 მუხლისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 5 მარტის №01-05-02/6 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. დაკმაყოფილდეს სტუ-ის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის წინადადება და აღნიშნულ ფაკულტეტზე „ეკონომიკის“ საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისათვის დაწესდეს აკადემიკოს ლეო ჩიქავას სახელობის სტიპენდია თვეში 300 ლარის ოდენობით;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **არჩილ ფრანგიშვილი**
აკადემიური საბჭოს მდივანი **გიორგი სალუქვაძე**